საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთშაბათი 6 დეკემბერი

# ცის ნამი

1907 წ.

ცალკე ნომერი 5 კაპ.

გაზეთ „ცის ნამი“-ს გამოწერა შეიძლება ყოველ დღე. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ. უკანასკნელზე—10 კ. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „ცის ნამი“-ს რედაქციის კანტორაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები არ ინახება. ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე. 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, კვირა-უქმეობით—დილის 11-დან 12 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Николаевская Площ. № 1

Библиотека

№ 1. ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 1.

1907 წ. 6 დეკემბრიდან, ქალაქ თფილისში გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი,

## „ცის ნამი“

**ხელის მოწერა მიიღება გაზეთის გამოსვლის დღიდანვე.**

გაზეთი წლიურათ თფილისში ღირს 7 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 75 კაპ.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი და უსათუოთ ერთ გვერდზე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები წერილობითი ცნობებისათვის საჭიროა საფოსტო მარკები.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკნელზე—10 კაპეიკი.

რადაქცია დროებით მოთავსებულია **ნიკოლოზის მოედანზე, ვართანოვის სახლში, № 1.**

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „Цисъ нами“.

---

**გაზეთ „ცის ნამის“ რედაქციის კანტორა დაბეჯითებით აცხადებს, როგორც აგენტების ისე ხელის მომწერთა საყურადღებოთ, რომ ფული და ყოველივე ცნობები უნდა იქნეს გამოგზავნილი შემდეგის ადრესით:**

Тифлисъ, редакція „Цисъ нами“, Николаевская площадь, домъ Вартанова № 1, **Захарію Степановичу Бичашвили.**

---

### მხოლოდ მოზრდილ მოწაფეთა (ორივე სქესის) საყურადღებოთ!

ჩვენ განზრახვა გვაქვს, ახლო მომავალში გამოვსცეთ ორ-კვირეული ნახატებიანი ჟურნალი (იუმორიულის განყოფილებით) **„მოწაფე“**. ვისაც სურს, რომ ჩვენ ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობა მიიღოს და „კომპანიონათ“ შემოგვიერთდეს, სანამ ჟურნალი გამოვიდოდეს, საადრესო სიაში ჩაეწერნენ. ჟურნალი პატარა ფორმატისა იქნება და არც დიდი თანხაა საჭირო, მხოლოდ ჟურნალის მიზანი ისაა, რომ იგი მოწაფეთა ორგანო იქნება, სადაც თვითონ ხსენებული მოწაფენი გამოვლენ სამწერლო ასპარეზზე. უფრო რიგიან პირობების შესატყობათ საჭიროა მიმართონ (გინდ წერილობითი, საპასუხო მარკით) თვით ამ ჟურნალის ინიციატორს კ. გულიაშვილს, კუკია, თამარის ქუჩა, სახლი 3. კვირა-უქმე დღეებში, დილით 9—11 ს. საღამოთი 4—6 საათამდის.

(2—1)

ინიციატორი **კ. გულიაშვილი.**

---

### თბილისი 6 დეკემბერი

ქვეყნის შექმნიდან ჯერ ისტორიას არ ახსოვს იმისთანა სიმწრის დღეები, რასაც დღეს განიცდის დიდი რუსეთის იმპერია: წუთიერი სიამოვნება-სიტკბოება, ორი დღის თავისუფლება მას მეტის მეტათ ძვირფასათ დაუჯდა—ყველგან ცრემლი და გოდება, ყოველ მხრიდან კვნესა ტირილი, ყოველ ოჯახში—დაკარგულის გლოვა და სხვა ათასნაირი განსჯა, რომლითაც ბევრი ახალგაზდა, ჯანღონით სავსე ჭაბუკი, ცის ვარსკვლავივით, მოსწყდა მზის სინათლეს და უსამართლობის ჯურღმულმა შთანთქა. მაგრამ მიუხედავათ ყველა ამისა, ამ უბედურებამ, რომელიც ასე მედგრათ დაატყდა ხალხს, თავის-თავათ გამოიღო ნაყოფი და უფრო ბევრ შემთხვევაში, ის უფრო მეტ სიმწვავეს იწვევს და დაბეჩავებულ და გაძვალტყავებულ ხალხს მატებს სიმხნეს, სიმძლავრეს; უორკეცებს ხიძულვილს უბედურების გამომწვევ მიზეზებისადმი ამხედრებს დამონავებულს—დამონავებლის წინაღმდეგ.

თუმცა დღეს გამეფებული რეაქცია, სრულის თავის სიმკაცრით, მძიმე უღლათ დასწოლია რუსეთის მცხოვრებლებს, თუმცა ის მთელ 150 მილიონ ხალხს უჭერს სამკვდრო-სასიცოცხლო მუხრუჭს, მაგრამ ხალხის გულის ნადები—დიადი განთიადი--ასულდგმულებს მთელს რუსეთს და მიაქანებს იმ სანეტარო მომავლისაკენ, რასაც დღეს ჩვენში პოლიტიკურ თავისუფლებას ვეძახით.

დღევანდელმა ცხოვრების უკუღმართმა მიმდინარეობამ, „გაძალლებულმა“ ყოფა-მდგომარეობამ, ნანატრ ბედნიერების უბედურობათ შეცვლამ წარმოშობა დიადი ბრძოლა დიდის და მძლავრის პროლეტარიატისა ბურჟუა-კაპიტალისტების, გაუმაძღარ „პომეშჩიკების,“—ექსპლოატატორ-ხაზეინების და ბიუროკრატიის წინააღმდეგ, რომ ერთხელ და სამუდამოთ დაახწევინოს ხალხს მათის ოპეკისაგან თავი და თავისუფლების შარავანდედით შემოსოს თავისი მომავალი ცხოვრება.

და აი ამ საერთო ამოძახილმა, საერთო მოძრაობამ დაბადა ათას-გვარი პარტიები და კავშირები, რომლებიც ებატონ-ეპატრონებიან პროლეტარიატის მებრძოლ რაზმებს და სურთ სათავეში ჩაუდგნენ მათ. მაგრამ დღევანდელი რუსეთის პროლეტარიატი თვითვე იკვლევს სანეტარო მომავლისაკენ გზას, ზურგს აქცევს ყველას აპეკუნობას და იყრის თავს ერთი დროშის ქვეშ. მაგრამ აქაც ჩნდება აზრთა სხვა და სხვაობა და იბადება იდეური უთანხმოება, რომელიც თითქმის ორ ბანაკად ყოფს ამ უძლეველ დევგმირს.

როდესაც კაცი უკვირდება ამ ორ ბანაკის აზრთა გამოხატულებას, მათ ლტოლვილებას საბედნიერო გზისკენ, ის უნებურათ რაღაცა სასოწარკვეთილებაში ვარდება და არ იცის (თუ უფრო მცირეთ შეგნებულია) ვის მიემხროს და ვის დაუჭიროს მხარი იმ დროს, როდესაც მასაც სწყურიან ბრძოლა, თავისუფლება, ნეტარი ბედნიერება და საამური სიცოცხლე. ვერ გამორკვეულა ამ „ტაქტიკურ“ უთანხმოებაში, ის სულ სხვასა ფიქრობს და ურთ-ერთ შორის იდეური ბრძოლა მას წარმოუდგენია დაუსრულებელ დავათ.

სწორეთ ამ გარემოებამ და აზრთა სხვადასხვაობამ გვაიძულა ჩვენ, რომ ჩვენს მკითხველებს მივაწოდოთ იმგვარი მასალა, რომელიც ასე თუ ისე ნათლათ წარმოადგენს და დახატავს ფართო მასსას ორივე აზრთა სხვადასხვაობის მიმდინარეობა-მიმართულებას და ცოტათი მაინც გაუადვილებს, ამ მძლავრ, პროლეტარიატის მიზან-მისწრაფებას. ამიტომაც ჩვენი ორგანო ყოველთვის სიამოვნებით დაუთმობს ადგილს ორივე ბანაკის აზრს და ამითი შეძლებას მისცემს თავის მკითხველებს გაუადვილოს დღევანდელ საჭირბოროტო კითხვებში გამორკვევა. სწორეთ ამ მიზნით ჩვენი გაზეთი გაუწევს სამსახურს ყველა დარგის მუშებს, როგორც განსაკუთრებულ პირობებში მდგომ ეკონომიურ კლასს, იდგება კლასიურ სხვადასხვაობის თვალთა ხედვის წერტილზე და ეცდება მკითხველ საზოგადოებას გაურკვიოს სოციალურ-პოლიტიკური კითხვები. ერთი სიტყვით, ჩვენი ორგანო დაიცავს ერთ-გვარ პოლიტიკურ მიმართულებას, რომელსაც შეეძლება დაიცვას პოლიტიკურათ და ეკონომიურათ დაჩაგრული მშრომელი ხალხის ინტერესები. მაგრამ რადგანაც „ცის ნამს“ არ შეუძლიან არ მიეკედლოს ან ერთ, ან მეორე მიმდინარეობას, ამიტომ ის ერთ-ერთ არსებულ მიმდინარეობის გამომხატველი იქნება; მაგრამ მოწინააღმდეგესაც ის სიამოვნებით დაუთმობს ადგილს. მხოლოთ ზრდილობიანი პოლემიკა, აზრთა თავისუფალი გამოთქმა საშუალებას მისცემს ჩვენ მკითხველებს გამოერკვიონ ამ ერთ დროშის ქვეშ თავისუფალ ბანაკთა სხვა და სხვა კითხვებში და თავისი ნათელი შეხედულობა იქონიონ ამა თუ იმ საგანზე, ანუ ტაქტიკაზე.

ამასთანავე ჩვენი გაზეთი უფრო მეტ ადგილს დაუთმობს და დიდ ყურადღებასაც მიაქცევს სოფლის აგრარულ ცხოვრებას, ანუ მიწის საკითხს, ეცდება შექმნას ყველა კუთხის გლეხთა და პროლეტარიატის შორის სრული სოლიდარობა, დაამყაროს მათ შორის ძმობა, განამტკიცოს მათი ერთობა და რაც შეიძლება უფრო მდაბიო და გასაგების ენაკილოთი ელაპარაკოს უკვე გამოღვიძებულ მშრომელ გლეხკაცობას, მის ყოველ-დღიურ, დუხჭირ და აუტანელ ცხოვრებისაგან წამოყენებულ, კითხვებზე.

### მესამე დუმა და ჩვენი ტაქტიკა*).

დღეს ვისაც კი ოდნავ მაინც უცემს გული განმათავისუფლებელ მოძრაობისთვის, ვინც კი გრძნობს დღევანდელ ცხოვრების უკუღმართობას და ჩაბმულია პოლიტიკურ ფერხულში ამ უკუღმართობის მოსასპობათ, ყველა მისთვის თავსატეხ კითხვათ უნდა იყოს გადაქცეული მესამე სახემწიფო სათათბიროს საკითხი. როგორია მესამე დუმა? როგორი უნდა იყოს ჩვენი დამოკიდებულება მასთან? აი საკითხნი, რომელნიც თხოულობენ დაუყოვნებლივ ასე თუ ისე გარკვეულ პასუხს. ღირს-საყურადღებო და საჩქაროდ პასუხის მისაცემია ეს კითხვები მით უმეტეს, რომ დღევანდელ დაბნეულს პირობებში და ბურუსით-მოცულს მომენტში ვრცელდება და ფეხს იკიდებს ბევრი ისეთი აზრები, რომელსაც შეუძლიან დიდ შეცდომაში შეიყვანოს მუშათა მასსა, თუ მათ თავის დროზე არ აეხადათ ფარდა და საჩქაროდ არ გამოირკვა მათი ფიზიონომია. ასე, მაგალითად, ზოგი ერთი ჩვენი ამხანაგები ამბობენ, რომ დღევანდელს პირობებში მესამე დუმას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც პირველს და მეორე დუმასო; რომ დღეს დუმას შეუძლიან ისეთივე საისტორიო როლი ითამაშოს ცხოვრებაში და კერძოთ რევოლიუციონურ მოძრაობაში, როგორსაც მოველოდით პირველ და მეორე დუმისგანო. მართალია ზოგიერთნი ამ ამხანაგთაგანნი ვერ მიდიან იქამდე, რომ მთლად დამალონ, ხელი დააფარონ იმას, რაც არის; ვერ მალავენ, რომ მესამე დუმა ოპოზიციონური აღარ არის, რომ მისი უმრავლესობა რეაქციონურია და თითქმის უკიდურესი რეაქციონურიც; მაგრამ ამას თუ არ შვრებიან მხოლოდ იმიტომ, რომ შეუძლებელია შუბის ხალთაში დამალვა; სამაგიეროდ დიდ იმედებს ამყარებენ მის არსებობაზე; ამბობენ, რომ მისი არსებობა ჩვენთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს და ამიტომ მის არსებობის წინააღმდეგ ხმის ამოღება, მის რეაქციონურ მოქმედების წინ გაღიღობება მომაკვდინებელ ცოდვას შეადგენს ყოველ რევოლიუციონერისთვისო.

მართალია განა ესა? აი კითხვა, რომელიც თხოულობს გადაჭრილ, და არა ორჭოფულ, პასუხს. მაგრამ ამაზე პასუხის მიცემამდე, საჭიროა კითხვის უფრო ნათლად გამოსარკვევად, გავითვალისწინოთ მოკლეთ, თუ როგორია წარსული, როგორია ისტორია დღევანდელის დუმისა. ჯერ კიდევ ნათლათ გვიდგია თვალ წინ ის გამოურკვეველი, კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიაც იყო ჩავარდნილი მთავრობა ბულიკინის დუმის მიცემის წინა დღეებში: საისტორიო და მთლად მთელს კაცობრიობაში სამარცხვინო იაპონიის ომის წაგება; მთელი თავის ავლადიდების იაპონიის ზღვებში დაღუპვა: მთლად გაკოტრებული, დაცალიერებული ხაზინა; ხალხის თვალში სრულიად სახელის გატეხვა და ავტორიტეტის დაკარგვა ყველა ეს, ერთი მხრივ რიყავდა და ხალხიდან აშორებდა მთავრობას; მეორე მხრივ იაპონიის ომში ენით გამოუთქმელი და კალმით აუწერელი ჯოჯოხეთური ამბების გავრცელება; მთელს სახელმწიფოში მოდებული შიმშილობა მთელ სამრეწველო ცენტრებში მრეწველობის შეჩერება და ძლიერი კრიზისის არსებობა-აი ყველა ეს მთლათ მოსპობას და წალეკას უქადდა, ისეთაც თავზარ დაცემულ ბიუროკრატიას. აი ამისთანა კრიტიკულმა მდგომარეობამ აიძულა მთავრობა, თავის არსებობის დასაცავად და სიცოცხლის შესანარჩუნებლად, დაეთმო ხალხისთვის სახემწიფო სათათბირო. მაგრამ ოქტომბრის ძლევამოსილმა მოძრაობამ გაანგრია მისი შეზღუდული ფარგლები და ამის მაგივრად დაათმობინა ისეთი საარჩევნო კანონები, რომლების საშუალებითაც შეიძლებოდა ხალხის მასსის ასეთი თუ ისეთი სულის კვეთების გამოხატვა. პირველი და მეორე დუმა აშკარად ამტკიცებენ ამ აზრის ჭეშმარიტებას: შერიგება მთავრობასთან, თუ მასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა? ამაზე გადაჭრილი პასუხი მისცეს პირველმაც და მეორემაც. აი სწორედ ამ პასუხს ვერ შეურიგდა მთავრობა და დაისვა მიზნათ, რადაც უნდა დასჯდომოდა ამ გვარ სათათბიროს მოსპობა და მათ ნაცვლად მონა-მორჩილ დუმის შექმნა. ეს თვისი განზრახვა ჩინებულათ შეასრულა მთავრობამ პირველ ორ დუმის გარეკვით და 3 ივნისის კანონის გამოცემით. 3 ივნისის კანონი, ეს მთელი რევოლიუციაა რეაქციის მხრივ; ამით რეაქციამ მთლათ მოუსპო ხალხს,

*) ვბეჭდავთ ამ წერილს, თუმცა მის შინაარს არ ვეთანხმებით. რედ.

თუ მან რაიმე მოიპოვა აუარებელ მსხვერპლით: საუკეთესო შვილების სახრჩობელაზე ასვლით, საუკეთესო გმირების ტყვიებით დახვრეტით და მთელი ქალაქებისა და სოფლების განადგურებით.

3 ივნისის კანონი-ეს ყელში მუშტის ჩაჩრაა მრავალ დამშეულ გლეხ-კაცობისა; ამით საშუალებაც კი მოესპო ხალხს იმის თქმისა, რომ მას პური შიან და ძალმომრეობის ქვეშ გმინავს.

3 ივნისის კანონი დაკანონებაა შიმშილობისა, გაჭირვებისა და ძალმომრეობისა. მესამე დუმა პირმშო შვილია ბიუროკრატიულ თვითმპყრობელობისა. დიაღ, ეს ორთავენი დღეს შეხვდნენ ერთმანეთს ამხანაგურათ, მჭიდროთ ჩასჭიდეს ხელი-ხელს და შემდეგ შეუდგნენ საქმეს. როგორია ეს საქმე? რა უნდა გააკეთონ მათ? ამის გეგმაც უკვე შეიმუშავეს: კრამოლის მოსპობა, რევოლიუციის ძირიან-ფესვიანათ აღმოფხვრა და ხალხის დამუხრუჭება. აი რას ფიქრობს სტოლიპინი და რაზე უკრავენ ტაშს და კვერს უწყობსი ძმები-ოქტომბრისტები. ასეთია მოკლედ ის პოლიტიკური პირობები, რომლებმაც წარმოშვეს დღევანდელი დუმა.

ისმება კითხვა; როგორი უნდა იყოს ჩვენი ს—დ. დამოკიდებულობა ამ გვარ დუმასთან? როგორ უნდა დაუხვდეთ ჩვენ იმას, ვინც განადგურებას და მოსპობას გვიქადის? ორპოფული პასუხი აქ შეუძლებელი უნდა იყოს. ზოგიერთი ჩვენი ამხანაგები კი არ უკადრისობენ ორპოფულ პასუხის მიცემას ამ კითხვებზე; მათი მდგომარეობაც ისეთია, რომ სხვანაირათ მოქცევა არ ძალუძთ. მართლაც და დიდი იმედები დუმაზე, დიდი ოპტიმისტური შეხედულობა მის მოქმედობაზე ნებას არ აძლევს სხვაფრივ იფიქრონ. სინამდვილე კი სულ სხვას ღაღადებს. ეს ამხანაგები ვარდებიან ისეთ ორპოფულ მდგომარეობაში, რომ არ შეუძლიანთ მხარი აუქციონ დუმასთან ორპოფულ დამოკიდებულებას. მხარის დაჭერა იმ კანონპროქტებს, რომლებსაც გამოვიყენებთ ხალხის პოლიტიკურათ აღსაზრდელათ და განმანთავისუფლებელ მოძრაობის გასაფართოვებლად:—უკუგდება და კრიტიკის ქარცეცხლში გატარება იმ კანონ-პროექტებისა, რომლებსაც ამ მიზნისთვის ვერ გამოვიყენებთ,—ასე ფიქრობენ ამხანაგები. ეს გამეორებაა იმ ტაქტიკისა, რომელსაც პირველ ორ დუმაში ვადექით. ამ გვარ ტაქტიკას დიდი მნიშვნელობა ქონდა პირველს ორ დუმაში, როდესაც მათი შემადგენლობითი უმრავლესობა ოპოზიციაში ედგა მთავრობას. მართლაც ამ ოპოზიციის მხარის დაჭერას დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა ქონდა მასსისთვის, რომელიც ვერ გარკვეულიყო მთავრობის ავ-კარგიანობაში. მუდამ მთავრობასთან შეჯახება, მასთან საარსებო კითხვებზე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, სადაც მუდამ დამარცხებული და შერცხვენილი მთავრობის დამცველები გამოდიოდნენ, ეჭვს გარეშეა, რომ დიდს როლს თამაშობდა ხალხის პოლიტიკურ თვით ცნობიერებაში. ისეთი ნაბიჯების გადადგმა, როგორიც იყო მაგალითათ პასუხისმგებელ სამინისტროს მოთხოვნა, ვიბორგის მოწოდება და სხვა, რომელთაც ალაგი ქონდათ პირველ ორ დუმაში ეჭვს გარეშეა, სასარგებლო და სახეირონი იყვნენ, რადგან ამ გვარ ნაბიჯებს დიდი მნიშვნელობა ქონდათ ოპოზიციურ მასისთვის. მაგრამ განა მოსალოდნელია რაიმე ამის მსგავსი მესამე დუმისგან, რომლის უმრავლესობის არსებითი მოთხოვნილებაა—განმათავისუფლებელ მოძრაობის ძირიან-ფესვიანათ მოსპობა?! განა დღევანდელ დუმისგან მოსალოდნელია რეფორმები, რომელთა საშუალებით შესაძლებელი იქნება განმათავისუფლებელი მოძრაობის გაძლიერება და გაღრმავება? ჩვენ გვეცხადებენ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას და ამის შემდეგ კიდევ შეიძლება გამოველოდეთ რასმეს მესამე დუმისაგან?!.

თუ არა, რაღათ უყურებთ ოპტიმისტურად მის მოქმედებას?! რაღათ ამყარებთ დიდ იმედებს მის მომავალზე?! საღაა აქ განთავისუფლების იმედი?

მესამე სათათბირო ზევრად განსხვავდება პირველი ორი სათათბიროსაგან; ახლანდელი სათათბირო წინ ეღობება განმათავისუფლებელ მოძრაობას; პირველი და მეორე კი ხელს უწყობდა მის გაძლიერებას. ჩემის აზრით, საჭიროა, ფართო მასაში დუმის რეაქციონურ პოლიტიკის წინააღმდეგ ძლიერი სააგიტაციო კამპანიის გატარება; საჭიროა ეხლავე დაუყოვნებლივ ახალი ლოზუნგის—საყოველთაო, სწორი პირდაპირი, ფარული კენჭის ყრითსრულ უფლებიან სათათბიროს მოწვევის ხალხში გადასროლა; საჭიროა ამ ლოზუნგის გარშემო მასსის შემოკრება. საჭიროა ამ ლოზუნგის გარშემო ცხოვრების ახლად ამოძრავება. აი რა არის საჭირო და რა გზას უნდა დავადგეთ დღეს ჩვენ.

მე ღრმათ მრწამს, რომ ამ აზრის გაგონებაზე ბევრი მენშევიკი შემნიშნავს, რომ ლოზუნგები კი არა ქმნის მოძრაობას, არამედ მოძრაობა ჰქმნის ლოზუნგებსაო. მაგრამ ნუ დაავიწყდებათ ამ ამხანაგებს, რომ ობექტიურმა პირობებმა უკვე მოამწიფეს ეს ლოზუნგი. დასასრულ ჩვენ მივმართავთ თვით მუშებს, რომ აღიმაღლონ ხმა და გამოსთქვან თავიანთი აზრი ამ საკითხის შესახებ.

სტალარი სოხო.

## ახალი ამბავი

✦ ბაქოს გუბერნიის მებამბეები სთხოვენ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას შეატყობინონ მათ, თუ სად შეიძლება ბამბის თესლის შეძენა, რადგანაც ბაქოს გუბერნიაში ბამბა არ იშოვნება.

✦ კვირას, 2 დეკემბერს დანიშნული საზოგადო კრება ქ. შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო არ შესდგა და გადაიდვა 9 დეკემბრისათვის.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ამას წინად ნახალოვკაში, მაგისტრალნი ქუჩაზე, შავრაზმელთა ბრბომ ცეცხლი წაუკიდა ვანო ლილოშვილის სახლკარს, ვითომ ამ სახლიდან რევოლვერით მოეკლათ ამიერ კავკასიის რკინი გზის უმთავრეს სახელოსნოში მომუშავე ბრიგადერი დაშკოვსკი. სახლის პატრონს ზარალი დიდი მოუვიდა და თითქმის ცარიელი კედლების მეტი აღარაფერი შერჩენია რა. დარჩა ქუჩაში წვრილი ცოლშვილი და არავითარი სახსარი აღარ აქვს. საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციონ თბილისის ყველა შეგნებულმა სახლის პატრონებმა და შეძლებისამებრ გაიღონ წვლილი მისი ზარალის აღსადგენათ, რითაც მას დაიხსნიან მეტის მეტ გაჭირვებისაგან.

შემოწირულება მიიღება: ნიკოლოზის მოედანი, ვართანოვის სახლი № 1, პავლე კონსტანტინეშვილთან.

✦ ტფილისის პოლიციამ, 4 დეკემბერს, დააპატიმრა ერევნის გუბერნიის მცხოვრებნი: ვაგარშაკ გადაკიანცი, აკოფ მირონოსოვი და სტეფანე ხეჩატუროვი, რომელთაც ბრალი ედებათ, რომ მათ მონაწილეობა მიიღეს 27 ნოემბერს პოლიციის მე-7 ნაწილში, ციციანოვის აღმართზე, სიღნაღისაკენ მიმავალ დილიჟანზე დაცემაში.

✦ ტფილისის საბჭოს შემდეგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 7 დეკემბერს. საბჭოს განსახილველად აქვს 20 მეტი საქმე. სხვათა შორის საბჭომ უნდა ამოირჩიოს საბჭოს წარმომადგენელი თფილისის ქალაქის საქმეთა საკრებულოში, ქალაქის სააუქციონო დარბაზის გამგე. ამავე სხდომაზე საბჭო დაამთავრებს აღმასრულებელ და საქმეთა დამმზადებელ საბჭოს კომისიების წევრთა არჩევას.

✦ ღამით, 4 დეკემბერს, ქალაქის სხვა და სხვა უბნებში პოლიციამ მრავალი ბინები გაჩხრიკა. გაჩხრიკეს, სხვათა შორის, თბილისის საბჭოს ხმოსნები: ნ. ელიავა კ. ი. ჯაფარიძე და ქალაქის თვითმართველობის მოხელენი: განკევიჩი, ბესელიძე, ლევან მამულაშვილი და ექიმი პარმენ ქიქინაძე. პოლიციამ დააპატიმრა ხმოსანი ნ. ზ. ელიავა. გაჩხრეკილებს არაფერი საეჭვო არ აღმოჩენიათ. ამავე ღამეს გაჩხრიკეს მეცხრე საპოლ-ცო უბანში, ანდრეევის ქუჩაზე მცხოვრები, ქართულ ჟურნალ გაზეთების თანამშრომლის ივანე ვასილის ძე ხანდამიშვილის სახლი.

✦ 3 დეკემბრის სხდომაზე, თფილისის ქალაქის თვითმართველობის გამგეობის წევრათ, ნაცვლით ჩერქეზიშვილისა, ამოირჩიეს თავ. ა. ა. არღუთინსკი.

✦ თეოდოსიის ქუჩაზე, მე-№ 21 სახლში მცხოვრები, იაგორ ამბილავა გაჩხრიკა პოლიციამ 4 დეკემბერს, საღამოს 8 საათზე, რომელსაც აღმოაჩნდა „სმიტისა და ვისონის“ სისტემის რევოლვერი და ხანჯალი. რადგანაც ამბილავას არ ჰქონდა გენერალ-გუბერნატორის ნებართვა იარაღის სატარებლად, იგი დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩაამწყვდიეს. ჩამორთმეული იარაღი საკომენდანტო სამმართველოში გაგზავნეს.

✦ 4 დეკემბერს, პოლიციის პირველ ნაწილში, ყორღანოვის ქუჩაზე მცხოვრებ მელიქ-ნუბაროვს, შინ არ ყოფნის დროს, სახლში შეპარვიან ქურდები და გაუტანიათ სხვა და სხვა ნივთები 194 მან. ღირე-

## ფელეტონი.

### ცის ნამი

მო, ამხანაგნო, შემოვკრბეთ,
ახლოა, ვგონებ, დრო-ჟამი,
ქვეყანას მოევლინება
საბედნიერო ცის ნამი.

—

სიბოროტე და მონობა
უცებ განქრება ვით წამი
და ნაცვლათ აზურმუხტდება
საბედნიერო ცის ნამი.

—

დაქროლავს დილის ნიავი,
ამოაშუქებს ცისკარი,
ააბიბინებს მიდამოს
საბედნიერო ცის ნამი.

—

აყვავილდება ბაღნარი,
იხარებს გულით მწიდნავი, *)
ყვავილებს ააფერადებს
საბედნიერო ცის ნამი...

—

მოუხრის ქედსა ცხოვრებას,
დღეს ქვეყნის ცოდვის მზიდავი,
დაჩაგრულს მოფენს შვებასა
საბედნიერო ცის ნამი!..

—

ზღვის ქარიშხალი დაცხრება,
თამამათ ივლის ზედ ნავი,
ზღვის პირათ იწყებს პრიალსა
საბედნიერო ცის ნამი.

—

გამოიღვიძებს მუშაკი,—
აღარ იქნება ვით ხამი
და მასაც დაეპკურება
საბედნიერო ცის ნამი

—

მო, ამხანაგნო, შემოვკრბეთ,
ახლოა, ვგონებ, დრო-ჟამი,
ქვეყანას მოევლინება
საბედნიერო ცის ნამი.

მიმინო.

*) მებაღე

### ხელოვნური დამნაშავე.

(ამბავი).

გიგო ზაქარაშვილი სოფლის მუშა კაცი იყო. მიუხედავათ იმისა, რომ ის აგერ სამოცი წლის იქნებოდა და ამასთან ხელ-მარტო, მის ოჯახს არასოდეს არ აკლდა ქადი და ადესის ღვინო. გიგო პირნათლათ ასრულებდა ყოველივე საერო, თუ სახელმწიფო მოვალეობას; ჭირში და ლხინში არავის აკლდებოდა, პირიქით ყველას სამსახურს უწევდა, რის გამო მთელი სოფლის სიყვარული და მართალი კაცის სახელი დაიმსახურა. გიგოს მთელ სახლობას შეადგენდა, სიყმაწვილიდან ჭირში და ლხინში ამხანაგი, ხვარამზე. დროგამოშვებით თუმცა მათთან ცხოვრობდა გიგოს ძმის, გაბრეელას, ხან ერთი, ხან მეორე შვილი (შვილები კი გაბრიელას ცხრა, თუ ათი ყავდა და გიგოზე გაცილებით ღარიბათ ცხოვრობდა, რისთვისაც გიგო, ხან ყანაში მიხმარებით, ხან ორიოდე მანეთის მიცემით, დახმარებას უწევდა). ხვარამზე გიგოზე ათი, თუ თორმეტი წლით ნაკლები ხნის იქნებოდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა, გეგონებოდათ თითქმის უფრო ხნიერიაო. უკანასკნელ წლებში მას მაინც რაღაც წელის ტკივილი დასჩემდა და გოგოც ძლიერ უფრთხილდებოდა. „სიყმაწვილიდან ერთათ ვცხოვრობდით, ერთათ უნდა მოვკვდეთო,—ეტყოდა გიგო ხშირად, მე კი ჯერ ერთი ოცი წელიწადი კიდო უნდა ვიცოცხლო“-ო.

მიმართულებით გიგო კონსერვატორი, არსებულ წესწყობილების მომხრე იყო. მის კარჩაკეტილ და თითქმის დამოუკიდებელი ცხოვრებიდგან, უსათუოდ უნდა წამომდგარიყო პოლიტიკაზე ასეთი შეხედულება. ხუთი ქცევა კარგად შამოკავებული მიწა, რომელიც მას ქონდა და ყველაფერს აძლევდა მას და მის ხვარამზეს. ამას გარდა წლიურად თექვსმეტ მანეთს პენსიას იღებდა. თქვენ იქნებ გაგიკვირდეთ, როცა სამოცი წლის მოხუცის მიმართულებაზე დავიწყე ლაპარაკი; მაგრამ სოფელ ბულიეთში,—სადაც გიგო ცხოვრობდა, ისეთი ახირებული ხალხი იყო, რომ თქვენთან სტოლზეც არ დასხდებოდენ, თუ თქვენი სულიერი ვინაობაც არ იცოდენ. არსებული წეს-წყობილების მომხრეობა კიდევ ხელს არ შეგიშლიდათ, თუ მასთან რეაქციის ბურჯიც არ ბძანდებოდით. გიგოს „რედაქცია“, როგორც თვითონ ეძახდა, ჭირივით ეჯავრებოდა, თუმცა მისი გაძლიერების მიზეზათ „სოსიალ-დემოკრატია“ მიაჩნდა.

კვირა დღე იყო. გიგომ დღეს ჩვეულებრივად წირვა მოისმინა და სახლში ბრუნდებოდა. გზაზე მას წამოეწია მომავალი მეზობელი, დათიე გულაძე. გამარჯობა-გაგიმარჯოს შემდეგ, გიგომ კითხა: შენ, დათია, №-ში იყავი, კაი ამბავი გეცოდინება რამე. „რაღა კაი ამბავი ჩემო გიგო,—ნაღვლიანის ხმით დაიწყო დათიამ,—ჩვენ დროში კას რამეს გეიგონებ კაცი? აკვანი მინდოდა ციცაიზა, მარა ცეცხლი ეკიდება ყველაფერს. აი დალოცვილი ფარა რომ დეილია, მაშინ გაძვირდა ყველაფერი. ამას კიდევ ვინ ჩიოდა, ვინცხა ეშმაკები ფაიტონს დახვდენიან თურმე ხრიალეთში და დაწვას უპირებენ თელ სოფელსო. აი ახალ მორჩენილი ციცა არ მომიკვდებოდეს თვარა სხვას აფერს ვჩივი. ახლა მოსაკითხავად მინდა ჩევირბინო ერთი თუ გავბედე წამოყვანა.

დათიას გოგიასთან არ არგიოდა, ის უკვე ხუთი-ექვსი ნაბიჯით წინ იქნებოდა, როცა სიტყვა გაათავა და ჩქარი ნაბიჯით გაეშურა სახლისაკენ, ისე რომ გიგოს არც დასცალდა დათიესთვინ მწუხარების განაწილება ამ ამბვის გამო. მალე მას წამოეწია ოთხი ახალ-გაზდა ყმაწვილი: კოწიე, სიმონა, ლადიკო და თეოფილე. გიგოს ძლიერ გაუხარდა ამათი დანახვა, მას საშუალება მიეცა პირზე მომდგარი სიტყვები ამათთვინ გაეზიარებია.—„რა ქნით ჯეელებო, ააშენეთ ქვეყანა?“ ჯერ კიდევ ათი ნაბიჯით უკან იქნებოდენ, როცა ეს სიტყვები მიაძახა გიგომ. როცა ახალ-გაზდები გაუსწორდენ, ყველამ საერთოდ გამარჯობა უთხრეს, შემდეგ კი, სიმონა პასუხის მიცემას შეუდგა: „ქვეყანა, ჩემო გიგო, ასთე ადვილად არ აშენდება, ახლა მხოლოდ დასანგრევად ვიყავით. სამ საძირკველ ნახევარი ძველი ქვეყნის ჩამონგრეულა, როცა დანარჩენ ნახევარსაც მოვათავებთ, შემდეგ ახალის აშენებას დევიწყებთ, მაგრამ ერთი ორი დღეი შენც უნდა წაგვეხმარო, თვარა მოვკვდით კაცი, აღარ ვართ“. სიმონას ამ ოხუნჯობას ყველამ სიცილით უპასუხა, ხოლო გიგომ ამოოხვრის შემდეგ მიუგო: „ვაი თუ დანგრევაზეც კისერი მოიტეხოთ და ველარც ახალი ააშენოთ. ამას ვჩივი თვარა ძველ სახლს მეც ახალი მირჩევნია“. „არა, ჩემო გიგო, ჯერი მიდგა თეოფილეზე,—ჩვენ არც რამეს ვანგრევთ და არც ვაშენებთ. შენ არ გგონია თუ ჩვენ უკრებოთ სადმე ფეხს გადავაბიჯებთ. მე და სიმონია, აგერ ცალი ხარის საყიდლად ვიყავით მელიტონაისას, ჩემი წაბლა მოხუცდა და უნდა გავყიდო სახორცეთ. ლადიკო და კოწიე გიორგისას არიან ქორწილზე დაპატიჟებული და იქინე მივლიან. ისთე ამას არც ჩვენ ვმალავთ, რომ ამ ეგზეკუციებს თავისუფლად ცხოვრება გვირჩევნია—და, თუ რამე შეგვიძლია, კიდეც გავაკეთებთ ამიზა თუ რაც არ დაგვემართოს, ამაზე ვარესი მაინც აფერი იქნება მგონია“. ამ ლაპარაკში იყვნენ მგზავრები, როცა გიგოს ეზოს მიუახლოვდენ. როცა გამომშვიდობება დააპირეს, გიგომ სთხოვა: „ჩამოდით, კვირე დღეა, თითო სტაქანი ღვინო

ბულებისა.

✦ გრიბოედოვის ქუჩაზე მცხოვრებმა ელენე კონიშევმა პოლიციას გამოუცხადა, რომ მის სახლში მცხოვრებ ქნ. ალექსანდრა ციციშვილის შინ არ ყოფნის დროს, ბინაზე შეეპარენ ქურდები, გასტეხეს კარები და სახლიდან 200 მან. ღირებულობის ნივთები გაიტანესო.

✦ პოლიციის ქუჩაზე მცხოვრებ, თფილისის მოქალაქეს პეტრო ხოსროევს, 4 დეკემბერს, ქურდი შეეპარა სახლში ღამით და უნდოდა ნივთების მოპარვა. ქურდს მალე შეუტყვეს და იქვე დააპატიმრეს.

✦ პეტრე-პავლეს სასაფლაოსთან, ავლაბარში, მცხოვრებ ივანე კლიუჩნიკოვს, როგორც მას განუცხადებია პოლიციაში, 4 დეკემბერს, ღამით ველიკოკნიაჟესკას ქუჩაზე შეხვედრია ორი უცნობი კაცი. ერთს უცნობთაგანს ამოუღია რევოლვერი და შეუტევია კლიუჩნიკოვისათვის ამ სიტყვებით: „ჰაი, შე ხულიგანოვო“ და რევოლვერი დაუმიზნებია. მეორე ამხანაგს შეუჩერებია, ჩაუსვამს ეტლში და ორივე გადამალულან.

✦ ამ დღეებში ნიჟეგოროდის პოლკის უფროსმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაიჩქაროს ბელგიის უსახელო საზოგადოებას ნავთლუღისაკენ ტრამვაის რკინის გზის გაყვანა, რადგანაც ნავთლუღელები ძალიან შეწუხებულნი არიან მით, რომ იმ სიშორიდან უჭირთ ქალაქში მიმოსვლა. გუშინ ქალაქის გამგეობის საამშენებლო კომისიამ აცნობა პოლკის უფროს, რომ უსახელო საზოგადოებამ ყველაფერი საჭირო მასალა დაამზადა და გზასაც მალე დაამთავრებს, თუ ავდრებმა ხელი არ შეუშალეთ.

✦ თფილისში მცხოვრებმა სომეხთა ინტელიგენციამ, ამ რამდენიმე ხნის წინად, დაარსა კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება. ამ საზოგადოების გამგეობამ ამ დღეებში შეიმუშავა საზოგადოების სახელმძღვანელოთ წესდების პროექტი, რომელიც ახლო მომავალში წარედგინება საზოგადოების წევრთა საზოგადო კრებას. ამ პროექტით თფილისში დაარსებულ საქველმოქმედო სომეხთა საზოგადოებას მიზნათ აქვს ცოდნა-განათლების გავრცელება კავკასიაში მცხოვრებ სომეხთა შორის და აგრეთვე მატერიალური დახმარების აღმოჩენა. მიზნის მისაღწევად შეძლების დაგვარად საზოგადოება აარსებს: სკოლებს, გამოსცემს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს და სხ.

✦ ცნობილმა ისტორიკოს-არქეოლოგმა ე. ს. თაყაიშვილმა უმაღლეს კურსებზე თავისი ლექციები საქართველოს ისტორიიდან დაამთავრა ორშაბათს, 5 დეკემბერს. ბ-ნმა თაყაიშვილმა ათამდე ლექცია წაიკითხა.

✦ გუშინ, 4 დეკემბერს, ღამის ორ საათზე, ვიღაც ბოროტ გამზრახველებს ცეცხლი წაუკიდებიათ მადათოვის კუნძულზე ლაზარიევის ტრახტირისთვის, მარა იქ მომუშავე მუშებს დროზე გაუგიათ და ცეცხლის ჩაქრობა მოუსწრიათ.

✦ ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ ზოგიერთი ნახალოვკელი სახლის პატრონები ძრიელ ავიწროვებენ თავიანთ მდგმურებს, დიდი ქირების გადახდევინებით და „ობისკებით“. დადამდება თუ არა შაშინვე შეუდგებიან ჩხრეკას ოთახებში, რა არის, რომ გარეშე პირი არვინ იქნეს მოსული დამის გასათევათ; ზოგიერთები „ხადასტოვებს“ სულ არ აძლევენ ოთახებს საქირაოთ, თქვენ კრებებს გამართავთო და სხვ.

## პატარა ფელეტონი.

### ტ უ ს ე ო ბ ა შ ი.

(ესკიზი)

(ვუძღვნი ტუსაღ ძმას ვასოს).

წელიწადი შემისრულდა, რაც აი, ამ პატარა, ცივ და ნესტიან კედლებ შუა ვარ გამომწყვდეული. ცხრამეტი წელი აქ შემისრულდა. რა ხანგრძლივი და დაუსრულებლივ გაჭიანურებული წელიწადი იყო ეს 1907 წელი?!.. სწორედ რომ საუკუნეს უდრიდა!.,

ამნაირად ჩემს ახალგაზდურ წელთა რიცხვს უფერულად ჩაექსოვა ამ საკანისამით ბნელი, საზარელი და გულის-მომწყვლელი მეცხრამეტე წელიწადი...

ერთმანეთზე გადაჯაჭულნი, ერთნაირად მოწყენილი დღე-ღამეები ერთი მეორეს სევდიანად მისდევენ და უხალისოთ ჩადიან უკუღმართ დროთა-ბრუნვის უფსკრულში... მათ თან ჩასდევენ, მათსავით დაუსრულებელი, ჩემი ახალ-გაზდური ფიქრები და ოცნებები, ოცნებები და ფიქრები..,

ეს ყრუ და დაღვრემილი საკანი, დარკინული სარკმელი და მთელ ჩემს არსებაზე მაგრად შემოჭნილი, რკინის რგოლები მაგრად მბოჭავენ, სულს მიხუთავენ და გულს მიწყლულებენ. რკინის კარების რახა-რუხი, კლიტე-გასაღებების ჩხრიალი და ბორკილების ჩხარა-ჩხური აზრებს მიხშობენ, თავში ჩაქუჩებივით მირახუნებენ და გახურებულ ტვინს მიჩხლეტავენ!!

მაგრამ მე მაინც არ ვდრკები, მტერს არ ვნებდები; მაინც იმედიანათ და ხალისიანათ გავიცქირები მომავლისაკენ და კვლავ ვფიქრობ და ვოცნებობ, ვოცნებობ და ვფიქრობ...

ჩემი გონების თვალი ყველგან ელვასავით მიმოსრიალებს, ის ხშირათ იხედება დამარხულ, ხან მოკლე წარსულში და ითვალისწინებს განვლილ, უსწორ-მასწორო ჩემ ცხოვრების გზას; ის თვალებ-გაფაციცებით აკვირდება აწმყოს და შეძლებისადაგვარად ცდილობს გაერკვეს დღევანდელს ვითარებაში; უფრო ხშირად კი ის იმედიანათ მხნეთ და გაბედულათ გაიცქირება ბრწყინვალე მომავლისაკენ.

ერთხელ კიდევ მაგონდება ჩემი პატარაობა, რომელიც ობლობაში და სილატაკეში მიმდინარეობდა. დაუნდობელი და უგულო ცხოვრება მაშინვე გაჭირვების მწარე ნანას ყურში გესლიანათ მაწვეთებდა; ობლობამ ადრევე დასჩაგრა ჩემი ნორჩი არსება: არ მახსოვს სიხარული და მოსვენება!!.

მაგონდება ჩემი შეგირდობაც; თვალ-წინ მიდგანან, ჩემსავით გულჩათხრობილი, დამფრთხალი და აბუზული ამხანაგები, რომლებიც ჩემთან ერთად სკოლის სასტიკ რეჟიმში იხარშებოდნენ. ვხედავ კაზარმის მსგავს სკოლის ორსართულიან და გძელ შენობას, რომელიც მთლათ საპყრობილეს მომაგონებს. მასაც ასეთი ცივი და მიუკარებელი კედლები ჰქონდა.

ვიგონებ ჩემს უგულო მასწავლებლებს და აღმზრდელებს, რომლებზედაც ახლა მწარეთ, მწარეთ მეცინება. ყველანაირათ ავათმყოფნი, გამოფიტულნი და დამახინჯებული ჩინოვნიკები, ბობოლეების ხელში ბრმა იარაღად გამხდარიყვნენ, რომ ჩვენც თავისავე მგზავსი მონები აღვეზარდეთ. თვითონ მონებს, ჩვენც მონებათ უნდა გავეხადეთ!

განა როგორ შემიძლიან დავივიწყო ამ ჩემ საკანის მსგავსი „კარცერი“, სადაც ავტომატი და ტვინდახშულებული მზრუნველები უბრალო, ვითომც დანაშაულისათვის, მშიერს მაყურყუტებდნენ!.. არც განსაკუთრებული ოპერაციის ოთახი დამავიწყდება, რომელსაც შეგირდები „საყასბოს“ ვეძახდით, სადაც აღმზრდელების მამათ-მთავარი, გამოჩენილი „ყასაბი“, მეტის მეტათ აღგზნებული სიყვარულით, წიხლით, ოსური ნაბადავით, მაგრად გვქელავდა (ხელებს უფრთხილდებოდა, მეტკინებაო) და ამნაირად გვწრთნიდა უმაღლეს სწავლა დამთავრებული, რასაკვირველია, უმაღლეს პედაგოგიის მიხედვით.

ეჰ, სკოლის ძალიან ბევრი, ბევრი სხვილმანი და წვრილმანი კურიოზებიც მაგონდება და თან ნაღვლიანათ მეღიმები...

აი სწორედ ასეთი დამყაყებული ატმოსფერით იყო ჩვენი სკოლაც გაჟღენთილი, როდესაც განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ხალხი მძლავრათ ააზვირთა და ძველი რეჟიმის ბურჯები მედგრათ მიახეთქმოახეთქა. ამ მოზღვავებულ ნიაღვარის ერთი პატარა ნაკადული ჩვენშიაც შემოაჭრა, რომელმაც სხვებთან ერთად მეც თავდავიწყებით გამიტაცა. ახალი ქარის ქროლას ვერც ჩვენმა მწარმოებელმა, უკუღმართ ღნიადაგზე აგებულმა და დაძაბუნებულმა სკოლა-ქარხანამ გაუძლო და ისიც დროებით დაიკეტა. „თავ-ხედ“ და „ურჩ“ შეგირდებთან ერთათ მეც ადრევე ქუჩაში გამომისროლეს.

ხალხი ბობოქრობდა, ღელავდა და კვლავ თავ-გამოდებით ეხეთქებოდა ძველი წეს-წყობილების ზღუდეებს.

აღფრთოვანებულს და აღტაცებულს, ცხოვრების აზვირთებული ტალღები მეც თავის სურვილისამებრ დამაქანებდენ; მეც სამართლიანობაზე ვითითებოდი და ვცდილობდი, შეძლებისა-დაგვარათ, დავხმარებოდი ხალხს, მძიმე ბორკილების დამსხვრევაში...

მაგრამ დრონი იცვალნენ. ჩქარა წამოუბერა სუსხიანმა რეაქციამ და ნორჩი ყვავილი თავისუფლებისა უდროოთ დააჭკნო, მებრძოლი ხალხის რაზმები დამარცხდა, დაიქსაქსა; ხალხის საუკეთესო შვილები დაიხოცა, დატყვევდა, გადასახლდა.

გაცოფებულმა რეაქციამ არც მე დამინდო და სკოლის სკამიდან აქ საკანში მომაქცია.

გარედ აბობოქრებულ ცხოვრებას მოწყვეტილი და მტრისაგან აქ ცოცხლათ დამარხული, ვზივარ ამ საკანში და დღე-მუდამ შევცქერი ამ საზარლად აყუდებულ ცივ, ნესტიან და სქელ კედლებს, დაღლილის თვალებით, ფერ-მიხდილი ხარკმლიდან გავცქერი ძირს, ქალაქს და მაღლა ცის ერთსა და იგივე ნაჭერს და მობეზრებულს... ძარღვები მეშლება, გული სევდით მევსება..

მაგრამ სულით უფრო და უფრო ვმაგრდები, უფრო ვკაჟდები, ვიწვრთვნები და ვფოლადდები. იმედი, ღრმა იმედი და რწმენა უკეთესი მომავლისა, მამაგრებს და ყველაფერს მათმენინებს.

ვხედავ მაღალი წოდება, მაღალი სფერები და ხალხის სხვა-და-სხვა ჯურის ხორცმეტნი, პარაზიტნები, რომ გამარჯვებულები ჯოჯოხეთურათ ხარხარობენ, დუმაში სიხარულით ბუქნას უვლიან და წაქცეულ ხალხის ზურგზე მალაყებს გადიდიან.

მაგრამ ამასთან ერთად ამასაც ვხედავ, რომ ულუკმო-პურო, გამოძვალ-ტყავებული, გაწამებული და უფლება-ახდილი ხალხის მოთმინების ფიალა ივსება, მის ოკეანე-ზღვა გულში საერთო ბოღმა გუბდება, რომელიც ახლო მომავალში უფრო მძლავრათ ამოხეთქავს, შეუბრალებლათ დასრესავს მებუქმეებს და მოცეკვავეებს. ხალხი ახლა უფრო უკეთა ხედავს თავის მტერსა და მოყვარეს. რეაქცია, თავისი ციხეებით, გადასახლებით, ცემა-ტყეპით და სხვა ამისთანა თანდაყოლილი მარგალიტებით, როგორც მჭედელი, თავის უზარ-მაზარაურაში, სწვრთნის და აფოლადებს ხალხს, ის თავისი სასტიკი რეპრესიებით თავის უნებურათ ამზადებს მაგარ ნიადაგს, რომელზედაც მკვიდრათ შენდება თავისუფლების დიდებული შენობა.

აი საით მიმდინარეობს ცხოვრება, აი ან საითკენ მიექანება ის და მიტაცებს ახლო მომავლისაკენ, რომლისაგანაც მოუთმენლათ მოველი დიდებულ და ბრწყინვალე განთიადს...

ს. პართენაშვილი.

## ს ი მ ღ ე რ ა

—

არ შედრკება, სულ წინ გასწევს,
ქვეყნად სიმართლისა ძალი,
ვერ შემუსრავს მას ვერ ოდეს,
ზარბაზანი და თოფ-ხმალი!

—

სულ წინ გასწევს და მიაღწევს
დიდებულსა თავის მიზანს,
და ძირს დასცემს შურს და მტრობას,
საძაგელსა და საზიზღარს!

—

აღმოიყვანს ცხოველ მზესა
შექმნის „ძმობა-ერთობასა“,
ანეტარებს ტანჯულ ხალხსა.
ქვეყნად მოსპობს მონობასა!.

ევ. დვალი.

## მუშათა შორის.

ამ რამოდენიმე თვის წინეთ, თფლიმონათის ქარხნებში მომუშავე მუშებმაც მოვაწყვეთ ჩვენ შორის პროფესიონალური კავშირები და შევუდექით ხაზეინების წინაალმდეგ ბრძოლას, ეკონომიურ პირობების გასაუმჯობესებლათ; ჩვენს შრომას ტყვილა არ ჩაუვლია და, ასე თუ ისე, უფრო უკეთესათ მოვაწყვეთ ჩვენი საქმე: მოვიპოვეთ 9-საათის

დავლიოთ, ვილაპარაკოთ, და წასვლას მაინც მოასწრობთ-“ო. ცოტა ფიქრის შემდეგ, ამხანაგებმა გადასწყვიტეს ჩასულიყვენ. შევიდენ თუ არა სახლში, ხვარამზეს ძლიერ გაუხარდა ნაცნობ სტუმრების მისვლა. დღეს მას მთელი დედალი ქონდა ჩასაციებელი და ცოტა არ იყოს კიდეც ნანობდა, რომ ასეთი კარგი სადილი მარტო ექამათ. ღომი კი ხვარამზეს ჯერ ჩაზელილი არ ქონდა იმ მოსაზრებით, რომ გიგოს მოსვლამდე არ გაციებულიყო. სადილის მოტანამდი კი, გიგოს სურვილისამებრ, გადასწყვიტეს თანამედროვე საკითხებზე ელაპარაკათ. „იცით, შვილებო,—დაიწყო გიგომ,—რა ანდერძი მინდა დაგიტოვოთ, ახალგაზდა მეზობლებს ამ სიკვდილის ხანს? ღმერთმა იცის, შვილები რომ მყავდეს, თქვენზე მეტად არ მეყვარება და რასაც გეტყვი კაი გულით, იცოდეთ. წუხელის მთელი ღამე არ მიძინია. დღეს კიდომ საყდრიდამ მოვიდოდი და დათიე შემხვდა ჩვენი, უნდა გითხრათ ცეცხლი მომეკიდა იმისი ცოდვით. უხაროდა, კაი სიძე ვიშოვნეო და ახლა ხრიალეთს ქე წვავენ თურმე. მის სიძეს ვარეს უზამენ კიდომ, მაინც შემჩნევა ქონებია, ტერორობას აბრალებენ თურმე. რაღა ბევრი ვილაპარაკო, ქვეყანას აოხრებენ და ჩვენ პატრონი არ გვყავს. ხო, ამფერ დროში ვართ და უნდა დავწყნარდეთ ცოტა, თვარა კიდომ ვარესი იქნება. თქვენ ახალგაზდები ხართ და დღევანდელი ამბავი არ იცით კარგად, პირველ ჩხუბში რომ ვიყავი, ორმა კაცმა მთელი სოფელი ევიღეთ თათრის, თოფი რომ გავარდა, უკან არ მოუხედავენ, ისთე მირბოდენ. იგი თოფი და ეხლანდელი მერე ერთია? ამ ფერი ძალა აქ იმ შეჩვენებულ თოფს და ჩვენ რაით უნდა ვეჩხუბოთ?—„ჩვენ ეჭვი არ შეგვაქვს, მიუგო კოწიამ, რომ, რასაც ამბობთ კეთილი გულით გვირჩევთ, მაგრამ ძველი დროს გამოცდილება რო გაქვთ, ისთე ახალი დროსაც გქონდენ დარწმუნდებით,—თქვენი რჩევა უადგილო იქმნება. მაგალითად, თქვენ ამბობთ: გაჩერდით, რუსი ძლიერია, მას ბევრი თოფები აქვს და სხვა. ერთი რომ ჩვენ რუსებს არ ვეომებით. ჩვენ საქმე გვაქ იმ მთავრობასთან, რომელსაც ნამდვილი რუსები, გლეხკაცები და უმთავრესად ქალაქის მუშები ჩვენზე ვარეს დღეს აყენებენ. სულ სხვაა—ჩინოვნიკები და თავად აზნაურობა, რომლებსაც პირადი ინტერესები, ფუფუნების დაკარგვის შიში აიძულებთ არსებული წესების ჩაბღაუჭებას. მეორედ რას ვშვრებით ჩვენ ეხლა. დამისახელეთ ერთი მაგალითი ამ ერთი წლის განმავლობაში, ვის რა წინაღმდეგობა გაუწია ხალხმა? მიუხედავად ამისა, ასეთი დღე გვადგია. შეიძლება თქვენ ის გქონდენ სახეში, რომ ხრიალეთში ვიღაცა ავაზაკებს ფაიტონი გაუძარცვავთ. მერე ჩვენ ვართ აქაც დამნაშავე?. ოჯახი იშვიათია ისეთი, რომ მახინჯი არ ერიოს, თორემ მთელ საზოგადოებაში რა გასაკვირია. განა ჩვენ მათზე ნაკლებ ვსდევნიდით ქურდს და ავაზაკებს. ან მათ ქურდების აღმოჩენა იმისთვის უნდათ,—საზოგადოებას ტანჯვა შეუსუბუქონ? პირიქით, მიზეზი იშოვონ საზოგადოების დასასჯელათ. გაჩერდითო! გაჩერება ჩვენზეა დამოკიდებული? ეხლა გაჩერებული ვართ. მე კი იმის მეშინია, ვაი თუ ხალხმა ვერ გაუძლოს ამდენ ტანჯვას და უსწორო ბრძოლაში თავი შესწიროს.

კოწია თუმცა უბრალო გლეხი იყო, მაგრამ წიგნების კითხვით და კრებებზე სიარულით იმდენი შეიძინა, რომ მას „პროპაგანდის“ ტოლი კაცად სთვლიდენ სოფელში. გიგოს კი, რომელსაც ქობულეთის ომის მეტი არაფერი ენახა, სად შეეძლო მასთან კამათში გამკლავება. მაგრამ გიგო მაინც არ ეშვებოდა: „კარგი და პატიოსანი, შენ ამბობ, ახლა აფერს ვშობითო, მარა მეც თვალები მაქ, სეითაც წავალ, ყველგან კრება რომაა არ ვხედავ? კაცები კაი, ბატონო, კიდომ, ქალებს რაღა ჯანდაბა უნდა? ესოფას ბიჭმა, დიმიტრამ, ეგერ ქალი მეიყვანა, გამუარიან ქალებს და-კრებაზე თუ წამოხვალო! აი ჩემი ხვარამზე რომ წევიდეს კიდომ, არაფერი, მარა იგი, რომ კრებაზე მივიდეს, მერე არც გამუუშვებენ, იმფერი ლაპაზია. აი ერთი წელწადია აფერს ვაშავებთო. მაშინ ბევრი შეგვერჩა და ახლა პაწასაც არ გვაპატიებენ! განათლება გვინდაო,—იძახეთ და აბატონო! მოვიდა ახალი ხანა და გაანათლა ყველაფერი. ახლა ხრიალეთიც თუ გაანათლეს, კაი ამბავი იქნება!

ილიძე.

(შემდეგი იქნება)

სამუშაო დღე, ჰიგიენურათ მოწყობილი ბინები, ჯამაგირების მომატება და სხვა... ამით გახარებული მუშები პირველათ ძრიელ ერთგულათ ემსახურებოდენ კავშირის საქმეებს. მარა არ შეგვიძლია არა ვსთქვათ, რომ ზოგიერთმა იმათგანმა ისარგებლა ეს ყველაფერი და თან და თან ხელი აუშვეს ენერგიულ მუშაობას კავშირის საქმეში. გაიგეს თუ არა ბ. ხაზეინებმა ეს ამბავი, მაშინვე მოელაპარაკნენ ერთი მეორეს, ახლა გვაქვს დროო—და შეუდგნენ ჩვენ მიერ მოპოვებულ პირობების ნელ-ნელა უკანვე წაღებას და თითქმის ისეა ახლა საქმე, რომ ლამის ისევ ძველ პირობებში დაგვაწყებინონ მუშაობა. საჭიროა ამ საქმეს ყურადღება მიაქციონ შეგნებულმა მუშებმა და ჩვენი, ამ ჟამად აწეწილ დაწეწილი, კავშირი კვლავ მოაწყონ წესისამებრ და ჩვენს ბურჟუა ხაზეინებს ნება არ მისცენ ერთხელვე მოპოებულ პირობების ისევე უკან წაღება.

მუშა ვასილა.

—

**ცოტა რამ ამიერ კავკასიის რკინიგზის უმთავრეს სახელოსნოს საავათმყოფოს მმართველების და ექიმების შესახებ.** დღეს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში ბევრი რამე იწერება სხვა და სხვა კუთხემხარეებში მომხდარ საქმეების შესახებ, მარა ამ ზემორე ხსენებულ საავათმყოფოს მმართველებისა და ექიმების შესახებ კრინტიც არავის დაუძრავს. თუმცაღა ძრიელ საჭირო კი იყო და არის ეხლაც მათი მოღვაწეობის გამომზეურება საზოგადოების წინაშე, და ვეცდები, რომ უტყუვრათ ავსწერო ყოველივე: პატივცემულმა მკითხველმა საზოგადოებამ იცის, რომ მუშა ხალხი დღეს საყოველთაოთ ცუდ და აუტანელ პირობებში არის უკულმართათ მოწყობილ ცხოვრების მეოხებით: ხშირად სნეულდებიან მუშაობაში და უდროოთ წუთი სოფელს ესალმებიან; მარა უკანასკნელ იმედათ, ამ დროს, ავათმყოფი მუშებში კიდევ ექიმებსა და სამკურნალოებს სთვლიან. მიდიან საავათმყოფოებში, მაგრამ ვინ არის მათი შემბრალებელი? დილის 10 საათზე მისული, ავათმყოფი ნაშუადღევის ორ საათამდის ექიმის ნახვას ვერ ესწრება და შემდეგ საღამოს ხუთ საათამდის წამლის გამოწერა-მიღებას, უკეთუ ავათმყოფი დასაწვენია, ის ვეღარ ესწრება დაწოლას; მთელი დღე სკამზე უნდა იჯდეს „პრიომში“. ეს კიდევ არაფერი: მაგალითად ერთი რომელიმე მუშა თუ მუშაობის დროს დასახიჩრდა ისე, რომ მას აღარ შეუძლია ფიზიკურათ შრომა, ასეთ მუშას პირდაპირ ჯვარზე აცვავენ, ეს დიპლომიანები ათასჯერ კომისიაში გაშინჯვით და შემოწმებით.

ავათმყოფს, რომ გულ-ღვიძლი და მთელი ორგანიზმი წამხდარი ჰქონდეს, მაინც ГОДНЫЙ-თა სთვლიან და ისევ სამუშაოზე გზავნიან და მიუხედავად ყველა ამისა ეუბნებიან მუშებს, რომ ნამდვილი „სოციალისტები“ და ტანჯულ ხალხის ინტერესების დამცველნი ჩვენ ვართო და სხვ. მუშას კი დღეს პირზე კლიტე ადევს და უკულმართათ მოწყობილ ცხოვრებას გულხელ დაკრეფილი შესცქერის...

ე. ბაჯელი.

## პროვინცია

—

**პატარა ონის საზოგადოება** (რაჭა). წარსულ წელს ჩვენი საზოგადოების მცხოვრებელმა გლეხ-კაცობამ თხოვნა მიართვა მაზრის უფროსს, რომ უკანვე დაებრუნებიათ მაღაზიის ფული, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინეთ კრეფდნენ მთავრობის მოხელეები, იმ შეპირებით და მოსაზრებით, რომ გაჭირვების დროს გლეხებისთვისვე დაებრუნებინათ. ამ თხოვნის პასუხს ჩვენი სოფლის საზოგადოების გლეხკაცობა წელს მარიამობის თვეში ძლივ-ძლიობით ეღირსა მაზრის უფროსისგან, სადაც იგი სწერდა მამასახლისს, რომ მოახდინე საერთო ყრილობა საზოგადოებისაო, დაადგინე „პრიგოვორი“ ყველას ხელმოწერილი და ფულს უსათუოდ მალე მიიღებთო. მამასახლისმაც რა თქმა უნდა მალე აასრულა ბრძანება და წარუდგინა მაზრის უფროსს „პრიგოვორი“ მთელი სოფლის მცხოვრებლების ხელ-მოწერილი, მარა მას შემდეგ აგერ ოთხი თვე გადის და ჯერ კიდევ არაფერი არ ჩანს ფულის მიღების შესახებ.

ამ ერთი თვის წინათ, როგორც გაზეთებში იყო აღნიშნული სოფ. ბაჯის საზოგადოებაში ერთმა „ინჟინერმა“ „ასფალტის“ მადანი აღმოაჩინა, რამაც დიდათ დააინტერესა სხვა ინჟინერებიც, რომლებიც მოვიდნენ ქუთაისიდგან და შეუდგნენ სხვა ალაგებშიც მადნების ძებნას. შრომას ტყვილა არ ჩაუვლია და ჩვენსავე საზოგადოების სოფლებშიაც აღმოაჩინეს მადნები: სთიხმარში—სპილენძისა, სოფ. ნამარნევში—თითბრისა და ს. ქვედა შავრში—შავი ქვისა. ამ ჟამად აქ ხმა დადის, რომ სულ მალე მუშაობა დაიწყება ამ მადნებზეო; იქნება ახლა მაინც ეშველოს რამე ქუთაისიდან რაჭაში რკინის გზის გამოყვანას!.. ესეც რომ არ იყოს რაჭაში სხვა მადნებიც ბევრია აღმოჩენილი, როგორც ეს უკვე იცის საზოგადოებამ.

რეაქციონერების თარეშს და ხასაზიზღარ მოქმედებას, როგორც ჩვენს საზოგადოებაში, ისე სხვათა საზოგადოებაშიც ბოლო აღარ ედება.

ე. ბაჯელი.

—

**სოფ. იანეთი** (ქუთ. მაზრა). ახალმა მოძრაობამ გამოაფხიზლა ჩვენი სოფლის გლეხობაც, რომელიც ხელ-ხელ ჩაკიდებულნი ჩაებნენ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, მაგრამ ჩვენს მტრებს შეშურდათ გლეხების შეთანხმებული მოძრაობა და ყველანაირი ზომები მიიღეს, რომ აღმოეფხვრათ გლეხების მოძრაობა. ამისათვის ბოქაული ბ. გაბუნია არაფერ საშუალებას არზოგავდა. მისი წყალობით ამას წინედ დააპატიმრეს ბართლომე მაისაძე, რომელსაც კიდეც გადაუწყვიტეს გადასახლება. მათე ფვარშეიშვილს ასეთი დარიგება მისცა ბ. ბოქაულმა: შენ, როგორც ხანში შესული და წვრილ ცოდნიანი კაცი, ჩამოეხსენ „ერთობას“ თორემ შავ დღეს დაგაყენებო. საბრალო გლეხს ერთი-ორი მათრახიც უცხუნეს. ამასთანავე მიირამეველნ შემწვარ გოჭ-ინდაურებს; დვინოსაც თან აყოლებდნენ. გარდა ამისა დრამის ფულმა გაგვატყავა, რომელიც სტრაჟნიკების შემწეობით, აკრიფეს. თუმცა ჩვენი მღვდლები ფულის მიღებაზე უარზე არიან, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ჯაბეებიკი მზათ აქვთ.

გოგი-ბიძია.

—

**სოფ. ბაჯი** (რაჭა). ცრუ მორწმუნებას ჯერ ისევ ღრმათ აქვს ფესვები გადგმული ხალხში: ამას წინეთ ჩვენს სოფელში გლეხ. კოსტა გურაბანიძეს მეუღლე გაუხდა ავათ ანთებისგან და არეულად ლაპარაკი დაეწყებინა სიცხეში, რომელმაც თავისივე ახლო მეზობლები ერთი კაცი და ერთი ქალი ჯადოს მკეთებლად, ან სოფლური სიტყვით რომ ვსთქვათ, კუდიანებათ დასახა და სახსენებლად დაადო ხელი მათ,—ესენი არიან ჩემი მომჯადავი და ავათმყოფობის მიზეზიო; ამაზედ ავათმყოფის მეუღლე კოსტა ხელად მკითხავთან გაქანდა სოფელ აბანოეთში იმ აზრით, რომ საქმე ნამდვილად გაეგო, მართალი იყო თუ არა მისი მეუღლის სიტყვები? მკითხავს, რა თქმა უნდა, ავათმყოფის სიტყვები დადასტურებია და გაბრაზებული კოსტა სულ მალე მოვიდა, სახლში, რომელმაც ერთი უშველებელი აყალ-მაყალი ასტეხა ბრალდებულებთან. რომელიც მათდა დასახოცად იწევდა მარა არ გაუშვეს მეზობლებმა. ამაზედ ბრალდებულებმაც თავი გამოიდვეს და შეჰყარეს ერთ ალაგას მთელი სოფელი, სადაც განაცხადეს ეს საცილო ცილის წამება და მოითხოვეს კოსტა გურაბანიძისა და მისი მეუღლის დასჯა, სოფელმა ამისათვის ბრალმდებლებს ბოიკოტი გამოუცხადა, მანამდის სანამ ისინი ბოდიშს არ მოიხდიან მათ მიერ შეურაცხყოფილების წინაშე.

ე. ბაჯელი.

## რუსეთის ამბები

—

**გენერალ გერშელმანის თავდამსხმელი.** უცნობი ქალი, რომელმაც მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს ყუმბარა ესროლა და თვითონ დაიჭირა, ახლა იმდენად გამოკეთდა, რომ მას ჩააბარეს კოპიო საბრალდებლო ოქმისა. საბრალდებლო ოქმი შედგენილია მხოლოდ პოლიციური ცნობებით, რადგანაც ქალმა არავითარი ჩვენება არ მისცა, როგორც თავის ვინაობის, ისე თავდასხმის და მისი მოწყობის შესახებ. როგორც ამბობენ, საქმეს ჩქარა გაარჩევენ სამხედრო-საოლქო სასამართლოში.

**შავრაზმელების ბანაკში.** ჭეშმარიტ რუსების და სხვა მონარქიული ორგანიზაციების კრებაზე დეკანოზმა ვოსტორგოვმა და ნაზარევსკიმ სიტყვა წარმოსთქვეს მესამე დუმის მოქმედების შესახებ; მათი აზრით მესამე სათათბირო მიუხედავათ იმისა, რომ იქ დიდი უმრავლესობა ჭეშმარიტი რუსები და მონარქისტებია — საერთოდ იმავ „კრამოლნიკურ“ მისწრაფებას მისდევს, როგორც პირველი და მეორე სათათბირო. შემდეგ ტრიბუნაზე გამოჩნდა ვიღაც სტუდენტი-მონარქისტი, რომელიც გულისწყრომით აცხადებდა, რომ ერთი მუჭა რევოლიუციონერები სტუდენტებს ხელს უშლიან სწავლას. კრებამ გადასწყვიტა დეპეშით სთხოვონ მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეს, რომ მან სასტიკი ზომები მიიღოს სასწავლებლებში უწესობის მოსასპობად სხვათაშორის დეპეშა გაგზავნეს მოსკოვის გენერალ-გუბერნატორთანაც, სადაც სთხოვენ მას, აუკრძალოს მოსკოვის თეატრებში „შავი ყვავების“ წარმოდგენა.

**შიმშილობა.** გულის შემზარავი ცნობები მისდით საერობო თვითმართველობებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ დამშეულების დახმარება. უფის გუბერნიაში, ბელებეევის მაზრა სულ მთლად დამშეულა, 102 ათასი კაცი მოკლებულია სარჩო-საბადებელს და პურის ლუკმას. ასეთივე ამბებია ტამბოვის გუბერნიის ბორისოგლების მაზრაში, სადაც—მიუხედავად საერთო გაჭირვებისა და შიმშილობისა—გადასახადების ასაკრებათ სასტიკ ზომებსა ხმარობენ. ზოგან სოფლელები იმდენად არიან დამშეულები, რომ ბალახის ძირებით და სხვა ამისთანა საშუალებებით იკვებებიან. საერთო უბედურება საზარელ ხასიათსა ღებულობს.

**სოციალისტ-რევოლიუციონერების შეპყრობა.** მოსკოვში შეიპყრეს 9 კაცი სოციალისტ-რევოლიუციონერები, რომლებიც შეადგენდენ ორგანიზაციის ხელმძღვანელ კომიტეტს. მათთან ერთად ხელში ჩაიგდეს მრავალი საბუთები, რომლების შემწეობითაც შესაძლებელია დანარჩენების გზა-კვალის გამონახვა და მათი შეპყრობა.

—

## წერილი

**რაჭა-ლეჩხუმელ და სვანელ მცხოვრებთა საყურადღებოთ.**

როგორც ეს ჩვენ უკვე გვქონდა ამას წინათ გაზეთებში გამოქვეყნებული, ქ. ტფილისში შესდგა „რაჭა-ლეჩხუმელ და სვანელ მცხოვრებთა სწავლა განათლების შემტანი ამხანაგობა,“ ამხანაგობა მიზნათ ისახავს: გახსნას ზემო ხსენებულ მაზრების სხვა და სხვა საშვალო ალაგებში დროის შესაფერი შკოლები, ბიბლიოთეკა სამკითხველოები და წიგნის მაღაზიები; ამასთანავე შეიძინოს ადგილობრივ მკვიდრთათვის შრომის აუცილებელი და საჭირო აირაღები „ტეხნიკა“, მაგალითად; სეტყვასთან საბრძოლველი მანქანები და სხვა. საწევრო გადასახადი წლიურათ თითვეულ წევრზედ 10 მანეთია: ჩვენ—უკვე არსებული ამხანაგობა მოგმართავთ ყველას სოფლებში რაჭა-ლეჩხუმელ და სვანელ მცხოვრებთ, ვისაც კი კეთილი გსურს, როგორც თქვენი თავისთვის, ისე სხვისთვისაც, მიიღით ამ დიად, წმინდა საქმეში მხურვალე მონაწილეობა, და შეუდგეთ თქვენც საწევრო ფულის შეკრებას.

ამხ. მონდობილობით ეკგენი დვალი.

—

### ვინ არის დამნაშავე? *)

—

ზოგიერთი პირები დღეს პურის გაძვირების მიზეზათ მეპურეებს სთვლიან და ათას გვარ შეურაცყოფას აყენებენ მათ, როგორც სიტყვით ისე საქმით. ჩემის აზრით, დიდათ სამწუხაროა ეს ამბავი. სამწუხაროა მიტომ, რომ დღევანდელ ჩვენს ჯოჯოხეთურ ხანაში მეტი შეგნებული და გონიერის თვალით შორს მხედველი ადამიანები არიან საჭირო, რომ ანგარიში გაუწიონ თავ თავის რიგათ ყველაფერს, რაც კი რამ ხდება ცხოვრებაში.

ამ სტრიქონების დაწერა კიდევ უფრო იმან გვაიძულა, რომ გაზეთებიც კი ადასტურებენ შეუგნებელ ელემენტების ლაპარაკს და მეპურეებს ლანძღავენ და ცილს სწამებენ. ამიტომაც ჩვენ იძულებული ვართ, რომ ხმა ამოვიღოთ,—ნათქვამია, სინიდისიც კაი საქონელიაო. ჭკუით მყოფელი და სინიდისიერი ადამიანი არასოდეს არ იტყვის დღეს იმას, რომ ვითომ პურის გაძვირება მეპურეების ბრალი იყოს, რადგანაც პურის სიძვირე გამოიწვია თვით დღევანდელ დუხჭირ ცხოვრების ცუდმა პირობებმა და არა მეპურეებმა. მეპურეები რა შუაშია პურის გაძვირებაში, როდესაც ფქვილის ფასები დღე და დღე მაღლა იწევს. ჩვენ თითონ უფრო მოხარულები ვიქნებოდით რომ მეშოკი ფქვილი მანეთათ გახდეს. მაშინ ჩვენც ნახევარ ფასათ გავყიდიდით გირვანქა პურს. მეპურეები არასოდეს არ ყოფილან და არც იქნებიან პურის გაძვირების მოტრფიალენი და რასაც თვით ცხოვრება წარმოშობს ის ჩვენი ბრალი არ არის. მეპურეებმა ამას წინეთ, პირ იქით, ჩვენთვის ფქვილის საწყობი მოვაწყვეთ იმ მოსაზრებით, რომ ფქვილები იაფათ დაგვჯდომოდა და საზოგადოებისთვისაც იაფათ მიგვეწოდინა. მარა როგორც, რომ ეს უკვე გვქონდა გაზეთებში გამოქვეყნებული, 11,000 მან თანხა, რომელიც ძლივ-ძლიობით შევაგროვეთ ერთ-ერთ შორის და მივანდეთ საქმის წარმოება მეფქვილე ვანო სოზიაშვილს,—მან ეს ფულები სულ გაგვიფლანგა და ცარიელ ტარიელები ყინულზე დაგვსხა.

ერთი სიტყვით, ყოველი მხრით დაბრკოლებული და გაყვლეფილი თვით ჩვენ შევიქენით და აი, ამ დროს გამოდიან ზოგიერთი ვაჭ ბატონები, ჩვენვე გვიკიჟინებენ და გვეუბნებიან, რომ ვითომც ხელს გვაძლევდეს გირვანქა პური შაურათ მივაწოდოთ ხალხს და ამის საბუთათ მოჰყავთ ახლად გაღებული „შელავათები“ საცა, მართლა ჩვენზე იაფათ ჰყიდიან ამ ჟამათ პურს: მარა სანამდის იარსებებენ ეს „შელავითები“, ამას სულ მალე დაგვანახვებს ცხოვრება და არც ბევრი დრო გაივლის...

ჩვენ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „შელავათებმა“ ან ისე უნდა გაყიდოს პური, როგორც, რომ ჩვენ ვყიდით დღეს და ან უნდა მიაკეტონ თავიანთი დუქნები, რადგანაც, ფქვილის სიძვირისა გამო, მათ ხელს არ მისცემს პური იაფათა ყიდონ. ამ ზემორე ნათქვამ მუხლებს ერთსა და ერთს ვერ ასცდებიან, რადგანაც ეს ბუნებრივი კანონია დღეს. და აი მაშინ დაინახავს საზოგადოება, ვინ ყოფილა აქ მტყუანი;—მეპურეები, თუ მათი მოწინააღმდეგენი.

მეპურეების ბიუროს მონდობილობით.

„ლომი“

*) ვბეჭდავთ ამ წერილს და რამდენათაც მართალია მეპურეების განმარტება პურის გაძვირების შესახებ, ამისი ახსნა თვით საზოგადოებისთვის მიგვინდვია. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი

**გიორგი სხირტლაძე.**


## განცხადებანი

ამ ახლო მომავალში ქალ. თფილისში, ალექსი სვანის რედაქტორობით, გამოვა **ყოველ-კვირეული იუმორისტული კარიკატურებიანი** ჟურნალი:

**„ბურნუთი“**

**„რაჭა-ლეჩხუმელ და სვანელ მცხოვრებთა შორის სწავლა-განათლების შემტან ამხანაგობის“** გამგეობა, ამით აცხადებს წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, 9 დეკემბერს, დანიშნულია

**საზოგადო კრება**

სადაც სთხოვენ ყველას, რომ აუცილებლივ გამოცხადდენ დანიშნულ ადგილას.


სტამბა „საქმე“, მიხაილოვის ქუჩა, № 40.